სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგამოცდო ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) საგამოცდო ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) შექმნილია იუნკერთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრების დადგენისა და მიმდინარე შეფასებების მონიტორინგის მიზნით.

2. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია აკადემიის მეთაურისა და მეთაურის მოადგილის წინაშე.

3. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდებისა და ამ დებულებების შესაბამისად.

მუხლი 2. ცენტრის ამოცანა

ა) ცენტრის საქმიანობის ამოცანაა აკადემიის გამოცდების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა;
ბ) სწავლის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
გ) აკადემიაში შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერითი, ელექტრონული (ტესტური) გამოცდების ორგანიზება;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცდების პროცესის მარეგულირებელი წესებისა და ინსტრუქციების პროექტების შემუშავება;
ე) ყოველ სემესტრში, აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერითი გამოცდების ჩატარების განრიგის გამოქვეყნება;
ვ) სტუდენტთა შუალედურ, სემესტრულ დასკვნით/დამატებით ელექტრონულ აღრიცხვაზე მონიტორინგის განხორციელება;
ზ) გამოცდის პროცესის, შედეგების ანალიზის განხორციელება და შედეგების მეთაურისათვის წარდგენა;

ზ) აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე საგამოცდო დოკუმენტაციის მომზადება;

თ) საგამოცდო უწყისების და აკადემიური მოსწრების კრებსით მონაცემების მომზადება;

ი) იუნკერთა/მსმენელთა მიმდინარე შეფასებების აღრიცხვის პერიოდული მონიტორინგი და აღნიშნული საკითხის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციისა და ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა;

კ) საგამოცდო მასალების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;

ე) საგამოცდო შეკითხვების ბანკისა და სხვა საგამოცდო მასალების ჩამოყალიბება და მისი ჩატვირთვა საგამოცდო მონაცემთა ბაზაში, აკადემიის აკადემიურ პერსონალის ჩართულობით;

ვ) იუნკერთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრების შესახებ მასალების მომზადება და გადასცემს შტაბის G3/G2 სამსახურის სასწავლო განყოფილებისა და აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის თვის გადაცემა;

ზ) იუნკერთა სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლის უზრუნველყოფა და შტაბის G3/G2 სამსახურის სასწავლო განყოფილებისათვის გადაცემა;

თ) მსმენელთა ნიშნების ფურცელის მომზადება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი არის აკადემიის სტრუქტურული ერთეული და შედგება ცენტრის უფროსის, გამოცდებისა და აკადემიური შეფასების ადმინისტრატორის, მთავარი სპეციალისტის და უფროსი სპეციალისტისაგან.

2. ცენტრის უფროსს მეთაურის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

3. ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის;

გ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე;

დ) ხელმძღვანელობს ცენტრის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;

ე) ხელს აწერს ცენტრში შემუშავებულ დოკუმენტებს და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დოკუმენტების ვიზირებას;

ვ) წარადგენს ცენტრის ყოველწლიურ ანგარიშს;

ზ) წარმოადგენს წინადადებებს ცენტრის თანამშრომლების წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ი) ახორციელებს აკადემიის წესდებით და ამ დებულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

ლ) ასრულებს მეთაურისა და მეთაურის მოადგილის სხვა დავალებებს.

4. ცენტრის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს და მათ სამუშაო აღწერილობებს, ამტკიცებს აკადემიის მეთაური.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.